№ 140 14 მკათათვე, პარასკევი 1866—1878 14 მკათათვე, პარასკევი № 140

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲮᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирaловის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирaловის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Бaрeшe мцxoвpeбoтaтвeвi: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Дaубeчдeлeни стaтиeбi aвтoрeбs aр дaубpундeбa.

რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზისა გამო, დღევანდელი ნომერი ნახევარი ფურცლის მეტი არ გამოდის.

მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ იელისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирaловის სახლებში, № 8). ᲛᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

(„Дроэбaсa“ кoрpeспoндeнцiя)

რაჭა, 20 Ивлисъ. Дaбa Oлъ-ში იყვნენ დაბარებულნი რაჭის უეზდის ყველა სოფლების საზოგადოებაების მამასახლისები. მიზეზი ამ ნაირი არა ჩვეულებრივი კრებისა იყო უმთავრესი მმართებლობის მოწერილობა, რომლის ძალით რაჭის უეზდს უნდა წარმოედგინა 247 კაცი მილიციონერები. მათ შორის ორმოცდაათი ცხენოსანი და სხვები კი ქვეითი. ᲘᲠᲗᲘ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲔᲑᲐᲓᲚᲔᲑᲐ ᲝᲠ ᲥᲕᲔᲘᲗ ᲙᲐᲪᲡ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲣᲔᲖᲓᲘᲡᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ 197 ᲙᲐᲪᲘ. ᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲞᲠᲝᲠᲪᲘᲝᲜᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲭᲘᲧᲕᲔᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲔᲑᲖᲔ...

ᲐᲓᲠᲔ ᲓᲘᲚᲘᲓᲒᲐᲜᲖᲕᲔ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲣᲞᲠᲐᲕᲚᲔᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲩᲝᲜ-ᲩᲥᲝᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲛᲐ. ᲓᲘᲚᲘᲡ 11 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲣᲞᲠᲐᲕᲚᲔᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲖᲐᲚᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲔᲜ ᲩᲘᲜᲝᲒᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘᲪ. ᲝᲗᲝᲗᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲞᲠᲘᲡᲢᲐᲕᲗᲐᲒᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲡᲪᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲘᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲖᲐᲚᲐᲨᲘ. ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲘᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲜᲔᲜ. ᲔᲠᲗ-ᲑᲐᲨᲘᲗ ᲨᲔᲘᲭᲠᲔᲜ ᲖᲐᲚᲐᲨᲘ, ᲘᲨᲕᲚᲘᲠᲔᲡ ᲥᲣᲓᲔᲑᲘ, ᲡᲪᲔᲡ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘ ᲩᲘᲜᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲡ ᲐᲚᲐᲒᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲬᲠᲔᲗ: ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲣᲞᲠᲐᲕᲚᲔᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲩᲘᲜᲝᲒᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ, ᲖᲝᲒᲜᲘ ᲛᲣᲜᲓᲘᲠᲔᲑᲨᲘ, ᲖᲝᲒᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲨᲘ, ᲒᲐᲛᲝᲭᲘᲛᲣᲚᲜᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲪᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲗ, ᲒᲐᲠᲡ ᲨᲐᲛᲝᲔᲯᲕᲘᲜᲔᲜ ᲒᲠᲫᲔᲚ, ᲬᲘᲗᲔᲚ ᲛᲐᲣᲓᲘᲗ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚ ᲡᲢᲝᲚᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ-ᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲐ ᲣᲤ. ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲣᲛᲤᲠᲝᲡᲛᲐ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ, ᲐᲛ ᲜᲐᲘᲠᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ-ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲚᲐᲒᲔᲑᲘ, ᲖᲐᲚᲐᲨᲘ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲘᲜᲣᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲐᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲧᲣᲓᲠᲝᲑᲐ.

ᲛᲔ ᲨᲔᲒᲠᲜᲐ ᲐᲜ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ-ᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲐᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲩᲘᲜᲝᲒᲝᲜᲘᲙᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲡ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲗᲐᲒᲐᲜ ᲗᲮᲝᲣᲚᲝᲑᲔᲜ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲚᲓᲐᲗᲔᲑᲡ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲜᲐᲘᲠᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ ᲐᲦᲔᲚᲔᲒᲔᲑᲐ. ᲑᲝᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ-ᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲐᲛᲝᲐᲮᲔᲕᲔᲚᲐ. ᲓᲐᲓᲒᲐ ᲛᲔᲢᲐᲗ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲬᲐᲛᲘ... ᲛᲘᲭᲧᲣᲚᲘᲢᲔ ᲐᲥᲐᲛᲝᲛᲓᲔᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲭᲧᲣᲚᲔᲢᲘᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ, ᲕᲘᲪᲥᲕᲘᲗᲔ ᲧᲣᲠᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐᲓ ᲛᲝᲡᲢᲣᲧᲣᲕᲓᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ; ᲘᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲓᲒᲐᲜᲕᲔ ᲘᲛᲐᲖᲔᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲗ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲗᲣ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲠᲐᲭᲘᲡᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ-ᲗᲐᲕᲖᲔ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲬᲕᲘᲝᲗ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ. ᲐᲮ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲡᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲭᲐ ᲘᲧᲝᲤᲐ ᲝᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲗ: ᲫᲕᲔᲛᲝ-ᲠᲐᲭᲐᲗ ᲓᲐ ᲖᲔᲛᲝ-ᲠᲐᲭᲐᲓ. ᲫᲕᲔᲛᲝ-ᲠᲐᲭᲐᲨᲘ ᲡᲐᲑᲐᲚᲐᲮᲝ ᲐᲚᲐᲒᲔᲑᲘ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲐᲠ ᲛᲝᲘᲫᲔᲕᲔᲑᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲪᲧᲔᲝ ᲐᲚᲐᲒᲔᲑᲘ ᲧᲐᲜᲔᲑᲡ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ, ᲐᲛᲡᲗᲐᲜ ᲐᲛ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲐᲥ ᲐᲠ ᲛᲐᲫᲕᲔᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲝᲪᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ,—ᲐᲡᲮᲘᲐ ᲚᲐᲠᲘᲑᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ. ᲖᲔᲛᲝ-ᲠᲐᲭᲐᲨᲘ ᲨᲔᲓᲐᲠᲑᲘᲗᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲡ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛ ᲡᲐᲑᲐᲚᲐᲮᲝ ᲐᲚᲐᲒᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲔᲫᲔᲕᲔᲑᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲚᲔᲮᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲗᲔᲗ. ᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲘᲡ ᲣᲤ. ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲣᲛᲤᲠᲝᲡᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲫᲕᲔᲛᲝ-ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲣᲚᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜᲗ ᲛᲐᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲬᲘᲝᲜ. ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲫᲕᲔᲛᲝ-ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲮᲛᲐᲗ ᲛᲘᲣᲒᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜᲗ.

ᲐᲥ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲡᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲣᲠᲘᲒᲝ ᲐᲠ ᲘᲧᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲪᲐᲗ ᲓᲠᲝ ᲔᲙᲘᲗᲮᲐᲗ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲐᲕ-ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡᲗᲘᲡ. ᲛᲘᲜᲘᲪᲝᲛᲑᲐᲐ, ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘᲜ ᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲓᲔᲜ ᲪᲮᲔᲜᲘᲗ ᲬᲐᲡᲔᲚᲐᲡ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ. ᲖᲔᲛᲝ-ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲡ ᲔᲡ ᲛᲝᲠᲐᲕᲚᲔᲝᲑᲐ; ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲡ ᲔᲑᲠᲫᲐᲜᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲓᲔᲜ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲑᲐᲚᲙᲝᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ-ᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲙᲘ ᲩᲘᲜᲝᲒᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘᲗᲣᲠᲗ ᲨᲐᲣᲫᲔᲒᲔᲡ ᲠᲩᲔᲕᲐ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐ ᲐᲗᲘ ᲙᲐᲪᲘ? ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲘᲛᲐᲗ ᲒᲐᲭᲙᲕᲔᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲐᲖᲠᲐ ᲠᲕᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲗ, ᲗᲕᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲓᲐᲣᲜᲘᲨᲜᲔᲡ ᲗᲕᲘᲗᲝ ᲩᲘᲜᲝᲒᲝᲜᲘᲙᲘ, ᲒᲐᲓᲐᲡᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲝᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲡᲔᲕ ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲔᲡ ᲖᲐᲚᲐᲨᲘ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲝᲑᲐ. ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲜᲘ ᲣᲑᲬᲝ, ᲣᲑᲣᲢᲑᲣᲢᲝᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲕᲔᲚᲝᲗᲓᲘᲗ ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲗᲐᲜᲬᲛᲓᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ. ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ ᲔᲐᲚ-ᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲢᲐᲜᲘᲗ, ᲤᲔᲮᲘᲗ, ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛᲝᲠᲩᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲠᲘᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲜᲓᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲪᲠᲘᲤᲐᲗ ᲤᲣᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲔᲩᲘᲩᲑᲐᲗ ᲯᲘᲑᲔᲨᲘ,—ᲠᲐ ᲔᲥᲜᲐᲗ: ᲛᲐᲗᲘ ᲯᲘᲑᲔ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲘᲑᲔᲔᲑᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲘᲛᲐᲗᲗᲐᲜ!! ᲬᲔᲚᲡ, ᲛᲐᲗᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲗ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐᲛ ᲐᲘᲦᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲖᲛᲐ ᲓᲐ, ᲐᲛ ᲜᲐᲘᲠᲐᲗ, ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲚᲘ, ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲫᲕᲔᲕᲘᲗ ᲙᲐᲪᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲝᲠᲛᲝᲪ ᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲓᲐ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲡ ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲗᲣ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲢᲐᲜ-ᲩᲐᲪᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲗ ᲩᲐᲚᲔᲚᲘᲐᲜ; ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲤᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲗ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲜ.

ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲘᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲐᲗ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡᲗ ᲛᲔᲢᲘᲡ-ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲙᲐᲪᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲐᲚᲝᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲖᲔ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲪᲣᲓ ᲮᲛᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲘᲡᲐ.

ᲝᲪᲓᲐ ᲔᲠᲗ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲩᲘᲜᲝᲒᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲓᲒᲔᲜ ᲒᲖᲐᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲜᲓᲝᲛᲑᲘᲚᲝᲑᲐᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲗ. ᲛᲔ ᲓᲐᲕᲔᲡᲬᲠᲐᲠᲐ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐᲜ ᲔᲡᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲖᲝᲒᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲘᲛᲐᲗᲒᲐᲜᲜᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲤ. ᲩᲮᲠᲔᲙᲘᲐ-ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲘᲡ, ᲘᲒᲘᲕᲔ ᲐᲚ. ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ, ᲐᲖᲠᲘᲗᲐᲠᲘᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲐᲗᲖᲔ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

ᲐᲛ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲠᲘᲒᲐᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ ᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ ᲜᲔᲑᲐ ᲝᲢᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲓᲘᲡᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲛᲐᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲪᲜᲝᲑᲝᲜ „ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲐᲙᲘᲖᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲚᲝᲒᲘᲡᲐᲡ“ ᲓᲐ ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲘᲮᲐᲓᲝᲜ ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲙᲘᲖᲘ.

როგორც კურიოზი, ამ განცხადებიდამ მოგყავს შემდეგი ადგილი: „ზოგიერთთა მცხოვრებთაგანს კაეკასიის მხარისასა აქვთ თავები სასმელების სახადის ქვაბებისა, რომელნიცა შეადგენენ არსებულს ნაწილს ამა ქვაბებთა და არ უცხადებენ ამას აკციზნის ზედა-მხედველს, რაისათვისაც აღნიშნულნი ქვაბების თავები რჩებიან აღუბეჭდელთა; ამ ქვაბების თავის საშუალებით შაუძლიანთ ნამალევთ გამოხადონ ოტკა, ვინაიდგან შესაძლოა ადვილათ იშოვნონ იმ თავებზედ მოსარგები ქვაბები, თითქმის დიდის ზომისაცა". თუ ქვაბებს იშოვნიან, თავების შოვნა რაღა გასაჭირია? ენაც ხომ ლამაზია! როგორ ფიქრობთ, ამისთანა გამოცხადებაები რომ ვერ გაიგოს სოფელში ნასწავლმა გლეხის შვილმა. ჩაჰჩექვს თავში მამა მისი, თუ არა?... გარწმუნებთ, ჩაშჩექვს.

ზოგოლეთელი

ომის შემდეგ

ინგლისურს გაზეთებში დაბეჭდილია მორიგების პირობა ინგლისსა და ოსმალეთის შორის, რომლიდამაც სჩანს, რომ ამ მორიგების მუხლნი არიან შემდეგნი:

მუხლი 1. თუ რომ ბათუმი, ყარსი, არტაანი ანუ ერთ-ერთი მათგანი დარჩება რუსეთს, და თუ შემდეგ რუსეთი კიდევ განიზრახავს დაიჭიროს რომელიმე ადგილები მისი იმპერატორების დიდებულების სულთანისა აზიის სამფლობელოში, დადგენილის შეკრულების მორიგების პირობით, ინგლისი ეალად რაცხს თავის-თავს შეუერთდეს მის იმპერატორებით დიდებულებას სულთანის დასაცველად იმ ადგილებისა იარაღით.

„ნაცვლად ამისა მისი იმპერატორებითი დიდებულებას უთქვამს, ინგლისმა შემოიღოს საჭირო რეფორმები, (რომლების შესახებაც ორივე სახელმწიფონი შემდეგ მორიგდებიან), რომელნიც ეხებიან კარგ ადმინისტრაციას, და ქრისტიანების დაცვას და სხვა პორტის ქვეშევრდომ ხალხებს, რომელნიც სცხოვრობენ იმ ადგილებზედ; იმისთვის, რომ ინგლისს ჰქონდეს შეძლება მიიღოს საჭირო საშუალებანი ამ შეკრულობის აღსასრულებლად, მისი იმპერატორებითი დიდებულება სულთანი თანხმდება დაუთმოს კუნძული კიპრი ინგლისს

მუხლი II. მხლანდელი მორიგების შესახებ მოხდება რატიფიკაცია, და გაცვლა რატიფიკაციებისა მოხდება ერთი თვის განმავლობაში, ანუ ადრე, თუ ეს შასაძლებელი იქნება. დასამოწმებლად ორი მხარის წარმომადგენელთ მოაწერეს ხელი ამ პირობას და დაასვეს თავეთ ბეჭდები.

შეკრულია სტამბოლში ოთხს ივნისს, ათას რვაას სამოცდა თერამეტს წელსა.

ა. ბ. ლეიარდ

ნ. საფეტ.

ამ მორიგებას აქვს დამატება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

დამატება. ბარდაწყვეტილია ორივე მორიგებულთა მხარეთა შორის, რომ ინგლისი თანხმდება შემდეგ პირობებით, შესახებ იმისგნით კუნძული კიპრის დაჭერისა და მმართვისა:

1. თათრების სარწმუნოებრივი სამსჯაერო (მეხკელესი შერი) კიდევ იქნება კუნძულზედ და დაიწყებს მართვას მხოლოდ სარწმუნოების შესახებ საქმეებისას და სხვას არაფერს, რაც შეეხება კუნძულის თათრებს.

II კუნკულის თათრების რეზიდენტათ დაინიშნება. ოსმალეთის კეთილ მსახური სამსჯაერო ადგილებისაგან სამმართველოდ, თანხმად ოლესგატისა, რომელიც დაინიშნება ინგლისის მმართებლობისაგან, ადმინისტრაციის ფონდისა, ქონებისა და მიწებისა, თათრების მეჩითების კუთვნილებათა. სასაფლაოთა, შკოლათა, რომელნიც არსებობენ კიპრის კუნძულზედ.

III ინგლისი დაიწყებს გადახდას ყოველ წლივ პორტისთვის ბოლად ეხლანდელს შემოსავლის დანაშთენს, გარდა გასავლისა კუნძულის ადმინისტრაციის ჩათვის; ეს დანაშთენი იქნება გამოანგარიშებული უკანასკნელი ხუთი წლის შემოსავლის საშუალო ჯამიდამ, რომელიც შეარდგენს 22,936 პინას და რომელიც შემდეგში კარგად განხილულ უნდა იქნეს, იმის გარდა, რომელიც შემოვა მამულის იჯარით გაცემით ან გაყიდვით და უძრავი ქონებიდამ, რომელნიც ეკუთვნიან სახელმწიფოს ოთომანების ხაზინას ამ დროს განმავლობაში.

IV. ოსმალეთს შეუძლიან თავისუფლათ გაყიდოს და მისცეს იჯარით მიწები და სხვა ქონება კიპრისა, რომელნიც ეკუთვნიან სახელმწიფოს და ოთომანების ხაზინას, გაყიდვით ან იჯარაში აღებული ფული არ შეადგენს კუნძულის შემოსავლის ნაწილს, მოხსენებულს მე III მუხლში.

V. ინგლისის მართებლობას თავის წამომადგენელთა შუამავლობით შეუძლიან იყიდოს კარგ ფასად პატრონების დაუკითხავად შეუმუშავებელი მიწები და საჭირო ადგილები, რომელნიც საჭირონი არიან საზოგადო გასაუმჯობესებელადან საზოგადო სარკებლობისათვის.

VI. თუ რომ რუსეთი დაუბრუნებს ოსმალეთს ყარსს და სხვა სომხეთში დაჭერილ მიწებს ამ უკანასკნელ ომის დროს, კუნძული კიპრი განთავისუფლებული იქნება ინგლისისაგან და პირობა შეკრული 4 ივნისს 1878 წ. დაჰკარგავს თავის ძალას.

შეკრულია სტამბოლში, 1 ივლისს 1878 წ.

ხელ მოწერილია: ა. ბ. ლეიარდ.
საფეტ.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	8	43			8	57	4	76
ფოთი. . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . .	9	83						
ახ.-სენაკი.	10	14			1	18	-	66
სამტრედია.	11	5			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:

	ბ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. ბახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 13 ივლისს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	45
ფქვილი წითელი. . .	1	30
ქერი ფუთი . . .	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	—
— ამერიკისა, ფუთი . .	7	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუ.	8	—
— თარაქამისა ფუ. .	4	—
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ძონი, ფუთი. . .	6	50
ძონის სანთელი ფუთი.	9	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	80
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
— ცხვრისა, ლიტრა .	—	90
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	70
— ფხვნილი ფუთი . .	6	—
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ორშაბათს: ქიუჩარიანც — ხირურგი, ბარალევიჩი — შინაგ. ავათმ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტინი — ბებიაობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი — გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი — თვალის და ობრეხტი — კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი — შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი — თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი — გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Іюля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.